

ნახ. გ. შირცხალავანი



გ. შ.

— როგორ აგარაკზე მიღიხარ დასასვენებლად?
— კარლოვი ვარი, ზალატიე ვესკი, ქინტარი, ლიეპაია მირჩევისია!
თუ დრო დამრჩა, უავ ზღვაზეც მიწდა გავიარო!..

ამას გვასწავლის
დიდი ილია

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაი-სარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხ-დი. იცოდე, დღეს მძლეოთა მძლეა ვარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისა-მებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ.

მხლა ან ადლი უნდა გვეჭი-როს ხელში, ან გუთანნი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართლები მანქა-ნისა. ეხლა ვაქაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა პღერი-დეს. ვაქაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი პღეროს. კიდევ ვი-ტყვიო, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირგება და ვინც იცის წესი და ხერხი ვარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეოთა-მძლეა მართო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენიოთა.

შრომასა და ვარჯას, ცოდნა-სა და ხერხს ვერავინ-ლა ვაუძ-ლებს. თუ შრომა და ვარჯა, ცო-დნა და ხერხი წინ არ მივაკებთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ და-ვუყენეთ.

მხლაც ომია, ხოლო სისხ-ლის ღერისა-კი არა, ოფლის ღერისა, ომი უსისხლო, მშვიდო-ბიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნალარა. უბუკ-ნალა-როდ სთესავს, უბუკ-ნალაროდ მკ-ს. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღ-ვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაილოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგვარგნოს, „მღუ-მარე წვიმისაებრ ნაყოფის გა-მომცემელია“. არც რბევა იცის, არც მარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიან-მა გესლი უღმობელის სიხარბი-სა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა პატოსანია, ნამუსიანია, და ისე-თივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწის თო-ფ-სა და სმლის ომი იყო. ვაქაც-ობა ამისთანა ომში ბევრიო წინ არის სისხლის ომის ვაქაცობა-ზე. ვაქაც გულადზე მშრომელი სამის ვაფრენოთ მეტიაო, იტ-ყოდა გლეხკაცი თავისეურად ზედგამოკრიოთ.

თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღა-დებს...

..იცინეთ, სიცილი ჯანმრთელობის ელექსი-რია!“. — ეს ლოზუნგი ეკიდა ქიშკრის თაღზე დასასვენებელი სახლისა, რომლის საგზური ადგილკომის თავმჯდომარესთან ერთთვისინი კიდილის შემდეგ ჯიბეში მელო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — ამ სიტყვებით წარმოსადგვი, მელოტი კაცი მო-მეგება ქიშკართან და დაწესებულების დირექ-ტორად გამეცნო.

— პირველად ბრძანდებით ხომ ჩვენთან? ნა-ხავთ, მოგწონებათ! — თქვა და ირგვლივ გა-მეფებულ სიმწვანეს იმგვარად მოავლო თვა-ლი, თთქოს მისი დამსახურება ყოფილიყოს ბუნების ნაწყალობევი.

— დიახ, ბატონო!
დირექტორს ეამა ჩემი დასტური, სწრაფად წამიძღვა შენობისკენ და საანკეტო დაკითხვა პროფესიის დასახელებისთანავე შეწყვიტა.

— აბა, სანტექნიკოსი ხართ? — წამოიძახა და ისე ლაზათიანად მბეგვა ტორი ბეჭზე, რინგზე წარმოვიდგინე თავი, — არ გამახარე!.. თქვენი სახელი?

— გელა, ბატონო!
— ჰოდა, ჩემო ვალაქტონ, — რატომღაც ნათლიობა იტვირთა მასპინძელმა, — იმას გე-უბნებოდი, სანთლით დავეძებ სანტექნიკოსს, ხუმრობა საქმეა? ას ხუთი ნომერი, არსად არც პირსაბანია წესრიგში, არც აბაზანა, არც შხაპი და, ერთი სიტყვით, შენ იცი აწი და შენმა კაცობამ! ნომრებს რომ მორჩები, სამზარეუ-ლოსაც მიმიხედე, საერთო აბანოსაც სჭირდე-ბა ხელის წაკვრა, არც საქვაბეა მთლად წეს-რიგში, ერთი სიტყვით, გვეყოფა საქმე!

— რომ არ მეყოს? — ხუმრობა ვცადე მე.

— არა, გვეყოფა, მაგის ნუ გეშინია! თუ მაინცდამაინც გაწყრა ღმერთი და შემოგვე-ლია, ავერ არ არის მეზობელი სანატორიუმე-ბი, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანა-

კები?! მე შენ ვეტყვი და წასრავს შენვე-ლაფერი. — დამამწვილა

— კი მაგრამ, ბატონო, მე დიხს...
— დაისვენებთ, რა თქმა უნდა, დაისვენებთ, მაგრამ შეთავსებით, — წარბის აწვეით ბეჭე-დი დაჰკრა ნათქვამს.

ხელსაწყობები, სპეცტანსაცმელი და სათადა-რიგო ნაწილები იმავე დღეს ჩავიბარე და საქ-მეს შევეუდექი.

სამუშაო იქვე იყო. წასვლა-მოსვლაში დრო არ მეხარჯებოდა და ტრანსპორტის ლოდინში აეწყო საქმე. გამივარდა სახელი. ატყდა ტე-ლეფონების რეკვა, რიგის დაჭერა, ცილობა...

— რას ამბობ, კაცო, შენ?! — შემომესმა ერთხელ დირექტორის ბარიტონი. იგი ტელე-ფონით ელაპარაკებოდა ვიღაცას, — ფული არ უხსენო, მაგი შენ ანტიელემენტო ან სახლ-მმართველობის სანტექნიკოსი. ხომ არ გგონია?!

— თქვა და მოწიწებით დაასახელა ის ქარხა-ნა, სადაც მე ვმუშაობ. — სვამსო? წვეთს არ იკარებს პირში! ჭამით ჩიტვით იყენება. ასეა, რაეარც ვითხარო!

საუბარს რომ მორჩა, შემნიშნა და მიმიხმო.
— ახლა პანსიონატში ხარ, თუ სანატორი-უმში? — მკითხა.

— ჯოჯოხეთში
— ხუმრობთ, ხომ? — შემათვალისერა. — ისე, ცოტა შეფრთხილი კი მეჩვენები!

— განსაჯეთ, ბატონო, ჩამოსვლის დღეს 67 კილოს ვიწონიდი ახლა 58 გახლავართ.

— აჰ!

— დიახ.

— როდის გიმთავრდებათ?


— არ წუთში დაგტოვებთ.

— დარჩით, საავადმყოფო ფურცელს გაგი-ხსნიოთ!

ქუაში დამიჭდა, რადგან ვატყობდი, რომ არსად წასვლის თავი აღარ მქონდა.

დავით ასაშრავა

ნახ. მ. აბაშიძისა



— რა მოგლით?! მე სხვას ვფიქრობ ამ ამხანაგზე და თქვენ პირიქით ლაპარა-კობთ?!

— თქვენი ჯვრის ამოკითხვა გვინდოდა, მაგრამ სათვალვე შეგვიშალა ხელი!



— კაცო, ცოტა დაუჩქარე, სამსახურში გვაგვიანდება!
— გავვიანდებამთ, თორემ თქვენც ხელად არ მოგხსნან!



ნახ. ჯ. ფორჩხიძისა

— მესუთე ფელია ვაპარავ!
— კაა, მოგხვლია სახელმწიფო გამოსდების დრო და მგ არის!

მწერალი და კითხველი

ბიზნისური
გონივრთქა

სიცხით იწვის მთა-ველი, აგვისტოა ძალაში, კანტიკუნტად ჭაჭანებს ხალხი თბილის-ქალაქში.

მე კი ტაქსის რიგში ვარ, მოლოდინით გავცოფდი, ამ დროს ავტობუსიდან მომესალმა ნაცნობი:

— როგორა ხარ?! ხომ კარგად?! — თან შორიდან მეძახის, ოფლი მისდის წურწურით, ვით წვეთები ქეძაფის.

გულში ვფიქრობ: „მიხედე შენს თავს, სხვას რას დაეძებ?! ქრისტესავით გაკრულხარ ავტობუსის კარებზე!“

თუმცა სიცხე მეცა მწვაავს, ავთებულვარ აღისფრად, მაგრამ ტაქსს ველოდები, — მომავალი მაინც მაქვს.

ვფიქრობ: „ქალაქს გავცილდე, ცოტა მეც დავისვენო!“ მაგრამ ჩემი ოცნება გახდა საბედისწერო:

ჰა, მანქანა მოვიდა, გავუტყეთ კოჯრისკენ, წინ საბარგოც გამოჩნდა, როგორც მტერი მოსისხლე.

როს ვტკბებოდი ბუნების სავსე მშვენიერებით, მთები დევეებს ვადარე, მწვანე ნოხებს — ველები.

ამ დროს იგი საბარგო შეიმართა ვეფხვივით და აღმოვჩნდი ერთურთზე ჯიხვებივით შეხლილი...

მე მინაში გავვარდი!.. მნახველები გაოცდნენ!.. „საქორწინო“ თოჯინად წამოვსკუპდი „კაპოტზე“.

უცებ ხალხი აყვირდა: „მძლოლი უნდა გავძაგროთ!“ მარტო მე წამიყვანა არასწრაფმა „სასწრაფომ“.

მომცეს ცალკე პალატა — აქ მგოსნობამ მიშველა! თაბაშირის ჩაფხუტმა თავ-პირი „დამიმშვენა“.

ექიმს ვთხოვე: — თუ ძმა ხარ, ასე ვერ დავიღამებ, ვერ დავრჩები მარტოკა, ვინმე შემოიყვანეთ!

— აგერ, პაციენტი გყავს სწორედ თქვენი ხნის არა, თქვენთან ყოფნა სწადა, ამბობს: „რამეს ვისწავლი!“

უცებ შემოიყვანეს ავადმყოფი საკაცით. კაცი რომ დავინახე, სიხარულით განვკაცდი.

— მე ვარ თქვენი წიგნების დიდი პატივმცემელი, თქვენი ნიჭის ნაყოფის მარად ღამის მთეველი! —

ჯერ შემაქო საოცრად, ჰიშნი მითხრა დიდების, მეურე კოკისპირულად დამაყარა კითხვები...

მე მინდოდა, მოწყენილს, წამიერი გართობა, მაგრამ ახლა დაიწყო მეორე კატასტროფა.

გამიმართა კამათი, ცოდნა-მადლის დუელი, მითხრა: — ბოლო რომანი ერნესტ ჰემინგუეის,

მწერლის სიკვდილის შემდეგ, რაიც ცოლმა დასტამბა, ემაგ ნაწარმოებმა დიდხანს ველარ გასტანა.

გმირს რომ თავს ახვევია, ის ტაქები ვინ არი? არც პროლოგი არ ვარგა, არც რომანის ფინალი.

თქვენი აზრი მაჩუქეთ, იქნებ მე ვთქვი ზედმეტი!
— არა, არ წამიკითხავს და ვერაფერს ვერ გეტყვით!..

პოლონურად დედანში წაგიკითხავთ „ფარისი“? იქნებ მითხრათ ქართულად ამ სიტყვის შესატყვისი?

— დამაცადე, თუ ძმა ხარ, სული არ მომიტოვია, ისიც ოხრად დამჩნება, რაიც წამიკითხია! —

თვალი შემომანათა, ტკივილებით ნატანჯი:

— თქვენ მწერალი არა ხართ?! მოვხვდი სხვა პალატაში?!
თუმც მეწყინა, ვუთხარი მაინც თავაზიანად:

— მწერალი ვარ, ბატონო, მე! მკითხველი კი არა!..
— თქვენ რა პროფესიის ხართ? — ვკითხე სხვათაშორისად,

— პედაგოგი გახლავარ არასრული სკოლისა!

მთელი დამე უძილოდ მაწიოკეს ფიქრებმა: არასრული! ყოფილა, სრულის რაღა იქნება?!

ოთარ გავფორია

ქაილედების ამ გროვსე ფორმალისტთა არის კრება, აქეთ უსაჯრო ლაპარაკი და არც ერთი არ ილგება ნებისმიერ ცოცხალ სპის აწმისთვის და მომადლისთვის არის მართლაც დამღუპველ მავნე სენი — ფორმალზმი!



თვეში ორჯერ მიდის ხოლმე... ჩამარცხების ასაფხაბ, ზეშინ ახლა უზარებია, აშკინიბებს ახტებებს მტისმეტად შორს შტტის თვადასულმა ზოგ-ზოგებმა არღანდობა დეზრტირებეს! — აი, ხალხის მწოდებია!



მაშამ უყდა მანქანა შვილის — დარღმინდს და თავენხას, ახწევე მამიკოს შუტა ფუღს შვილიყო თუმინანხად! ხალხის სამხჯარო მოცილის ყველა ახადგავრ მამა-შვილი, ყველა შორალურ ხეიარის, ყველა ხულიერ პარაზიტს!



სახელმწიფო შენებლობის ღლიონს, აგურს, ხე-ტყეს, ცემენტს ზოგან ახე აშკარად და უსიხოსლო იტაცებეს!

ყველა ჯურის დამტაცებლებს ჩვენ ვუცხვდები სსსკე შრომლის ხელი კვრებს უღეს ადლით, სახელმწიფოს, ხალხის დღვლით!

ლექსები ბ. მელიანი ნახტები ბ. ლომიძის

მუნღაჩი

მიხვანადი ვარ და თბილისში

ვცხოვრობ-მეტი, რომ ეკონია ვინ-მეს, არ დამიერებენ. ცვხობიო და მერე როგორ, არ ითხოვთ? სამოთახა-ზა ბანა — ქალაქი ცენტრში, კარწინ — სასახლეში. შუადღი არ მაყლა და დღისო შეიძობა იფიქროთ. მეცხვარე ვიყავი და ხელდასა შევიცვალე სრულეზიად არა. ხელდასა იდე ის დამარ-ღა, მართლაც არა, რომ ქალაქში გახლებული და ახლა ჩემი ცხვრები ას-ფაღტე დასწინდლებენ.

ბუღდა ვართბა და ყანო სიონა მოლოძქე ერთ რამეში მიანე დავე-სვაეს: მსაგათი კოტა მუხლები მტე-ლი და თბილისში ჩამოვიდი სამკურ-ნალად. ჯერ ისე სადვარის მუდუნაზე ებორტმანებდი, რომ ელავამ დამიხაზა ჩვენებურ კოლხედა, სიკა, შენ ზეფის მუღბო, აქ მარ ჩამოვავლიო, შეგხედი და ჩვედებური ხანსა გოგია შეშინა ხელ-სი. ვულზე ფთოლ-ფთოლთა გავლს-ტირა უფარულს. იქვე მანქანა უყენია და მეუბნება, დაცე, სად გინდა, წავი-

ვანო! ჩემი პატივისცემა ასოსცა უწყურმსაღსა, ასოსცა და დღევანელი-ღვება, თორება, არ დღეს შვილია, ჩე-მი გულსთვის ათრის მანქანა, გვერ-დით მიეცემა. რა გავკოცეზია, რაზე ჩამოსულხარი, მეციხებოდა გზა-დავბა. მოსულე მოეუევი ახა შენ-სეი, მოხიზა, რა ძალა ვაღვია, ცხვარ-ში რომ დახტებოდა, ჩამოდი აწა და იყავი ალაგობრიყო, აღტე ფხვები და ხორცად მოიბაძო. თავი გავქენი, მე თუ ცხვრის სუნმა არ მი-ღირბა წესტოემში. რა გამამღბინებს -მეში, არაფერი მოასულხა, ერთ ღა-ხათიან რესტორანს მიმეყენა, ირავლე პარკი იყო გამშენებელი და წყალი მოქტეფდა შადრევიდან. მთელი ეზო ნარეფერი მანქანებით იყო მოშენი-ლი.

— ეგველ მენი ცხვრები, — მოიზა-რა გოგამ და მანქანებზე მიმოიხია, — ბატენბი ეი მოგინთ არიან. — შენი-ზობა ეი მოგინთ არიან. — შენი-ზობა ეი მოგინთ არიან. რესტორნიდან მართლაც ცხვრის ბლავრისა თუ ბატენის ყვირის მსგავსი ხმები გამოდიოდა. გოგამ დირექტორთან მიმიყენა, ამ ქაეს რეგამბრებები აქეს და აფჯალბ-რიე სამსულობა ექმსო. დირექტორმა ამიხნს, რა უნდა მეკეთებინა. ხელდა-ხელ ვაუჯრკევი. ჩემთვის მიჩენილ ა-გოლე უნდა ვგადარეკევი და საქეი-ფოლ მოსულენი ხალხის მანქანებისთვის


უნდა მეუბარულა მერე კი პანკალოთა და ლლეიო რომ გამოიქოლენენ რეს-ტორნიდან, ყოველი მთავანსათვის თა-ვისი მანქანა უნდა მოემეებინა. ჩემ ხე-ლობას მართლა ჰგავდა. სახელგანთქმუ-ლი მცნობარი ვიყავი, ათას დედა-ტყვარს ისე დაუეთითებდი საყოთარ ბატენებს, რომ თვალს არ დაეახაზანე-ბდი, მავრამ იქ ცხვარსა და ბატენს ხეებით ვარწმედი, აქ კი მხოლოდ სიგნა-ლები ვარწმედი, ყოველი პანკა, კოტა ან იყოლ, შენფორანა, მავრამ თურქუ-ჯერ სდა ხარ აქ დალოცეზობს თაშში რომ შეუსტლუბათ მწერები (ღერბს ვი-ქები თაშში მწერებად რეკებინა). თურ-თონაზ ბლავინ და მანქანებაც უქონდ აღბუღებენ.

ხანზახს ისე ვერთობოდი მუშაობა-ში, რომ მართლა ფარეხებიან მეგო-ბა დავი, მანქანების ქოლ ფარაში მო-ბანაქედი და მხოდაგი მათი პარკო-ნები რომ შემოიყოლდნენ, მართლაც და ბატენებით ზეზაღენენ მე კი, ახა, რის მგნობარი ვიყავი, ხელდახელ ჩა-მოვარგებდი ხოლმე. მსოლდო ერთ-ხელ მომივიდა შუღლმამა ოთხზე მოშ-ლეთი ვატი თავისი მანქანაქენ მამ-ყავს ის კი ძალობს, სხვა მანქანისაქენ მიჩქენს. მე ვუდებოდი, მოდი, ჩემი მე-კვათ, უნდა ვერ გრეკინა-მეთუი, რომე-ვი დღდა, მე შენი დელია, კოლ-სესის მანქანაში ზის და შენ აქ მიღწერ კიდე-კი არჩია ოთხი ფხვინან, ორ ფხვხე შენდა და თვალზე მხეთვა ჩლიქი, დი-ლიო ლურჯი ისამანიეთი მიყვოდა მარჯვენა თვალსი.

— მეც ისამანს კარ ფასში ვაყვი-ლი! — მსდევლა დირექტორმა. ისამანის მართლა კარ ფასში ვაყვი-დი და უფერი გვმოვადგინე შეუძლევი ჩემი მოვალეობის შესრულებას. იქნებ იყოთბოთ, იქ, სოფელში რომ იყავი, გაა-არსადი მიანიც ცხვარ-ბატენს, მატულო გეჭებოდა, ახა, აქ რა უნდა ისარევი-ლოთი. რომ იყოლეთი, ესენი იპარსე-ბიან... იპარსებინ და მერე როგორი იქ წეღელში ირეკეთ თუ გაქევა: აქ კი უყვიდე... ოსრი მატულო იძულებს, ესენი — ფულს, ვინ მანქანა ჩამე-მეჭისი ვებეში, ვინ — სამისა. და-მეზომებოთი, დამეჭეზილი ფული ცი-ლიტებით სტობია ხუტევა მატულსა... ყველაფერი მაქვს, არც შუადღი მაყ-ლია, არც — ღღინო, მავრამ სოფელი მიანიც ვერ ჩავლე სანამ მანქანას არ ვიცილი, აკოლგუს! ფულს ვაჯრევენ. შევი ბაზრის დასიბაზე ბეჭი ადრია-გური მიკლია.

დღილულზე ყულოდები, ლეწვა ერთ-ხელ კიდევ ამოყვადენს ღერი ისა-მანი, თუ ამოყვადენ. მამინევე უკლდას მკისი და სოღოსევე ვაგისკირნენ. მამ რა გვინათ? — თუ მცნობარი ხას, ფულის მცნობარი უნდა იყო, ხალხს უნდა გამაოჯგე ხალხს უნდა ემ-სახური მსოლიდო ერთი რამე მწვეკ-ტეს გულსა; მე აქ ხალხის სასახატე-რი ვარ. იქ კი ჩემთვის ეგნის ჩამო-რისეკითათ

ილიტუარ მირისა, გვილი



ნ. ა. კაპრიანი

— ყლავრო სელა წაქლი ნიპოშოჰი? გოლ-შობიო რომ თაშენ აქდა, არ იოსოლ?

მვიშეკე-ქი ყუზარსი-კე ვაშარსი-ქი!

მოგეხსენება, ნიპო, წუთებო ჩარე მწელიო — მელა საწოლზე მტვროგრენი უწულიდ ვითი თნ წელია... ჩვენ მხოლოდ თუ წაგო...

სტელი ვაქვს თაქე სასწომლი! სოფელი მიანიც, ღღინისა და ამოტე მტვრობით სასმელი თითქმის დატედა ონკინი. მასაც ჩვესები წერია... ყველამ მწერი და ვიროლი, ურის აჩენ ვაგვიდეს სრულიად ბრუნს, ნიპო, შენო! თაქნივთე ვაშარსი, ვაგვიჯე, ამტეტელს ქაქაზე, გოგეუქლო ევბორგამხალებს!

ახივალის ქაისი ა 10 სკალისა მწუხარალთა დასავალით — მამო იფ. 5648.

მიხვარაზამი

- ძალიან არა რა რეორციელის იყო — მთელი მტუკა და გრძელი ენა ქონდა!
- რაშიკორი მამონი დავა, რისე იგი ფუ-ლებს ივა.
- ბაქოშობილი ღღინი და ვაგვიდ.
- უმჯობესა კქმის გამბელი ეთობა, საქე-მით გამბელი — ათი!

მიზნებ: მქინდა თუ არ უღვება ამხანაგ მი-სეხაშობს მშემტე-ერთი გამსამინდელი მწარულს?! აკსნიტ: ვანანია, რთი ვაგვასმინდელა მზა-რული!

მურაღება! ყურადღება! მოედანზე ფიგურირებს ორი ფერი — წითელი და ლურჯი. ამ ორ ფერს დომინირებს სხვადასხვა ზომის სამი შავი ფერი. თამაშს ბურთში შეიყვანს მთავარი შავი ფერი. დიახ, მთავარი, აბა, ვის გაუგონია მის გარეშე თამაშის დაწყება?! ბურთი წითელმა ისურვიანების მარცხენა ფლანგზე შავოსანის მეტვალყურეობის ქვეშ გაგორდა. მას აედევნა მთავარი შავი ფერი პირველი მოადგილითურთ... დარტყმა! ბურთი მაგიური ძალით მიექანება კარისაკენ, მაგრამ მთავარი შავი ფერის მოადგილემ დროშის თავგამოდებული ფრიალით აშკარა გოლისაგან იხსნა წითელმა ისურვიანები, მთავარმა შავმა ფერმა ბურთი ლურჯმა ისურვიანებისკენ გაუშვა და თან გამოედევნა. ბურთმა თამაშგარე მდგომარეობა მიიღო, შავოსნებს

პოემა

თვალეები დახუჭოდათ. ხომ არის მომენტი, როცა თვალში ისეთი ვინმე ჩაგივარდება (თუნდაც ფედერაციის ერთერთი წარმომადგენელი), რომ ხელს ვერ ამოისვამ. ბურთს არ უნდა ლურჯმა ისურვიანების კარში შეგორება, ბურთია და სირცხვილის გრძობა გააჩნია, მაგრამ მას ვინა ჰკითხავს, სულ ხელისკვრით შეაგდეს კარში. ისმის მაყურებელთა საპროტესტო სტვენა... ნუ დაგავიწყდებათ, შავოსნის სასტვენო ხმა შეუხებელია! ერთით ნოლი!

... მთავარი შავი ფერის ნებართვით ბურთი კვლავ დაგორავს მინდორზე... მიიწევს წითელმა ისურვიანების საჯარიმო მოედნისაკენ... საჯარვო თამაშიდან გადადის საშინაო საქმეზე... კვლავ ისმის მაყურებელთა საპროტესტო სტვენა, შავფერიანები თავიანთ სიმძლევზე დგანან! აი, ამას ჰქვიან ბეტონი, ჩინური კედელი, კახური ღობე, სვანური კოშკი და შატილიონი, კალა და ტაშისკარი... (ტაში ჰკარი, რამდენიც გინდა, ვინ გისმენს!) და სხვ. მაყურებელთა თამაში დასასრულს უახლოვდება...

დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო მაყურებლისათვის, რომელიც არავის მიეკუთვნა.

ტრან-ტარა-ტარა-რა-რაა! რა-რა-რა!

ავთანდილ აღისვი

შაზილონთა ბაკათი ნიანგს

ის არ იფიქრო, თითქოსდა წერილის წერით ვერთობით, ფიქრების მექად ქცეულა დღეს ნუცუბიძის ფერდობი. აქ არც სკოლა გვაქვს. არც ბაღი, ნიანგო, გულთან ზიარო, ჩვენთან ყრმთა და ყმაწვილთა გვითხარ, სად უნდა იარონ?! უტრანსპორტ-უმანქანობა გულს გვიღონებს და გვიწვირდობს, ჩვენს თხოვნას, ღაღადს, მუღარას ყველა თავიდან იცილებს. მანქანას არა, მაგრამ ლიფტს სულ გვპირდებიან გზადაგზა. ლიფტში ჩაჯდომას ვნატრობთ და ბოლოს სულ მშრალზე არ დაგვხვან! სადარბაზოდან ნაგავი ბინებში უხვად შემოდის! ჩვენც გვიყვარს სისუფთავე და გვხურს დავტკბეთ მისი გეოლოგი! ტუშილად დავდევთ სახლმმართველს, (დროს ჩვენთვის არა ჰკარგავენ!) აქ ვერც გაზონებს იხილავთ, ვერც სიმწვანეს და ნარგავებს... წყალს ვინაც გვაწვდის, გვიანდა რომ დაგვიზუსტოს და გავგიგოს: იუ წყალს გრაფიკით უშვებენ, გრაფიკი რად არ გრაფიკობს? ონკანში წყალი რომ მოდის, ხან ცხელი არის, ხან — ცივი, სულ წვეთ-წვეთობით გვაწვდიან, გვიწყვენ ოქროს განძივით. ერთი რამ გავკვირვებია, შევკრთეთ, დავმუნჯდეთ ლამისა: ნეტავი, როგორ ხერხდება წყალში შერევა შლამისა?! ხან სამინისტროს ვაწუხებთ, ხან „ატენსში“ ვძუნძულდებით, უტელეფონოდ შთენილინი ვგავართ გარიყულ კუნძულებს. ვისაც ეგ საქმე უხება, სად ვეძიოთ და სად ვდიოთ? ჩვენაც ხალხნი ვართ, გვპირდება ტელეფონიც და რადიოც!.. ლამპიონები კი დადგეს, (აღმართეს მხოლოდ სვეტები), მაგრამ ხინათლე გამორთეს, ბნელაში დავხეტებეთ!.. მეტი რა უნდა ვიამბოთ, გული ფიქრებმა დაქანცეს!.. გთხოვთ, შეახსენო, ნიანგო, ამა საქმეთა თავაკებებს: მართალი ხიტყვა მუდამ სჯობს ყველა განძსა და საგანძეს! არ შეგაწუხებთ ამის მეტს, თავი აღარ გვაქვს დავისა, დაე, ხუყველას ახსოვდეს მოვალეობა თავისა!

ნახ. ა. პანდელაპისა



— დავიჯერო, ახლა ეს შველია?!

არგენკინული ქრონიკა

რენსენბრინკმა, დირსოუმ, კუბილასმა, კემპესმა და ბეტეგამ არგენტინის ჩემპიონატში იმდენი ატყუეს მეტოქეთა მცველები, რომ ისინი საავტორო ფირმებმა შეისყიდეს. ბანკის მმართველი: ბანკის კარებში საიმედო დარაჯები არა გვყავს და რა გქნათ? — როგორ არა! მეკარეები: მაიერი, ძოფი, ფილოლი, იოგბლადი, ლეაო, ტომამუესკი... ბანკის მმართველი: ყველას მივიღებ, მხოლოდ პერუს მეკარის გვარი არ მისხნოთ!

მიკრონაკვესები

- ისეთი სმენა ჰქონდა, ხელქვეითები დაამუნჯა.
- პირს არიდებდნენ, რადგან სიმართლის პირში თქმა უყვარდა.
- ისეთი შურისანი იყო, თავისი თანამდებობაც შეშურდა.
- სამსახურში იმდენ როლს თამაშობდა, რომ საკუთარ თავს თვითონ ვეღარ სცნობდა.
- კოლექტივში ჯანსაღი განწყობილება რომ შეენარჩუნებინა, ნაკლოვანებებზე ლაპარაკს კრძალავდა.



ამ გროვას რომ შეხედავს კაცი, დიდი ენათმეცნიერიც რომ არ იყოს, მაინც მიხვდება, რომ სიტყვა ტარა აუცილებლად ტარებისაგან არის წარმომდგარი, რადგან ამ ყუთებსა და მათ ნაშთებს ძალიან ეტყობათ ტარების, განსაკუთრებით კი მისი სინონიმების: თრევის, ნჯღრევის, ძეძგვის, ჭეჭყვის, მტვრევის, მსხვრევის, მიყრა-მოყრისა და რბევის კვალი.

საოცარია, „საქტარის“ ბაზის თანამშრომლებმა ასე ზუსტად როგორ მოუძებნეს შესაფერისი ფორმა სიტყვა ტარას შინაარსს. გასაკვირველს გამოსული ბრუნვითი ნიშნის ძე ტარისაშვილი



28.11.78
394
ბიოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი

გარემო უზუნოვნი

ლაქის მდინარე

იყო ოცდაშვიდობით საუკუნის დასაწყისის მაისის მშვენიერი დღე: მდინარის ხეობაში ნიავს ფოთლების შარიშურით ფენოლის საამო სურნელი მოჰქონდა. უეცრად პატარა მდელის თავზე აერობუსი დაეკიდა და ბალახზე დაჯდა. მისი სტომაქიდან გადმოვიდა მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფი. მათ თან მოიყოლიეს ექსპერს-ანალიზის მოწყობილობა. პოდა, ნახევარ საათში უკვე დაადგინეს, რომ მდინარე ცხრა ქიმიურ ელემენტს შეიცავდა. რაც ახლომდებარე ლაქის სამღებრო ქარხნის წყლების მიერ იყო შემოტანილი.

— მერე რა! — თქვა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, — მართალია, ამოცანა არც ისე იოლია, მაგრამ მისი გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია. კარგი იქნებოდა, ეს პატარა მდინარე თხუთმეტი ელემენტისაგან ყოფილიყო შემდგარი, მაგრამ რას იზამ, უნდა ვისარგებლოთ იმ ნედლეულით, რაც გვაქვს...

მეცნიერებმა სახელოები დაიკაპიწყეს და მუშაობას შეუდგნენ. ერთ კვირაში პროექტი მზად იყო, ხოლო ორი თვის თავზე ახალმა ქარხანამ უკვე დაიწყო ზეთის საღებავის, სქელი კვამლისა და დამდგარი წყლების წარმოება.

ორი წლის მერე მდინარის ხეობაში უწინდებურად ჰქროდა ნიავი, მაგრამ მას ახლა უფრო მეტად გართულებული სურნელება მოჰქონდა. და, აი, კვლავ გამოჩნდა მეცნიერებით დატვირთული აერობუსი. მათ ჰაერი შეიყნოსეს, ცოტა არ იყოს, დაიღრჩენ და ანალიზს შეუდგნენ. ამჯერად მდინარის წყალი ცხრა ქიმიურ ელემენტს კი არ შეიცავდა, არამედ — ოცდაშვიდს: ეს იყო ძველი საწარმოებისა და ახალი ქარხნის დამდგარი წყლების შერწყმის შედეგი. ბუნებრივია, ამდენი ძვირფასი ნედლეული უქმად დაკარგვა არ შეიძლებოდა და გადაწყდა აგებულიყო ქარხანა. რომელიც გამოუშვებდა უახლეს დეზექსიქსოზეტის ლაქს — რაკეტოლანების აუცილებელ საღებავს.

ორი წლის შემდეგ, როდესაც ხეობაში აუტანელი პაპანაქება დადგა და გამხმარმა, ფოთ-

ლებგაძარცველმა ხეებმა ჩრდილი აღარ მოგვეცეს, აერობუსიდან კვლავ გადმოსდნენ მეცნიერები. მსუბუქ სკაფანდრებში გამოწყობილებმა უცებ ააწყვეს მომცრო რობოტი, რომელსაც ყველაზე უფრო მოწამლულ გარემოში მუშაობის უნარი შესწევდა და გაგზავნეს მდინარისკენ ანალიზისათვის წყლის ასაღებად. ის იყო რობოტი მიუახლოვდა ნაპირს და ლითონის ხელი გაიშვირა, რომ ხელი მყისვე აუშინინდა და ხსნარად ექცა...

მხოლოდ მესამე ცდაზე მოახერხა ანალიზის გაკეთება. ამჯერად ამ პატარა მდინარის წყალი შეიცავდა ოთხმოცდაცხრა ელემენტს — თითქმის მენდელეევის მთელ ტაბულას და წარმოადგენდა საუკეთესოზე აუკეთესო ნედლეულს უახლესი ექსოზეტის საღებავისათვის.

ეს ყოველივე ჩინებული იქნებოდა, მაგრამ აღარავინ იყო, ახალ ქარხანაში რომ ემუშავა: ხეობის ყველა მცხოვრები უკვე დიდი ხნის წინათ გაუფანტულიყო.

ბულგარულიდან თარგმანა
ფოთა ამირანაშვილმა.

ნახ. ზ. ფორჩინისა



— რა დამმართა შენს ქმარს?
— სმარპო ქლორით მოიწამლა.

გვიზღუდე, ნიანგ!

ჩვენით ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ჭიჭინაძის ქუჩა № 21) 17 წლის წინათ ააგეს და შიგ ჩაასახლეს ტრესტ „ინჟინერის“ მუშა-მოსამსახურეთა 45 ოჯახი. დღიდან აშენებისა, სახლს მიმდინარე, ან კაპიტალური შეკეთება არ ღირსებია.

მოშლილი დ გაცვეთილია წყალსადენის ქსელის მიღები: ცხელი წყალი საერთოდ არა გვაქვს. კანალიზაცია თვეში 1-2-ჯერ მაინც აბინძურებს უზოსა და ქუჩას. საღარბაზოებს კარები არა აქვთ. ფანჯრებს — მინები. ქუჩისა და შიგა განათება თვეში 2-3 დღით გვანებივრებს. რადიატორებიდან წყალი წვეთავს, რაც იწვევს მეზობლობაში დავას. დაცხრილული სახურავიდან ჩამოსული წყალი დაბლა სართულელებამდე აღწევს.

რაც შეეხება სასმელ წყალს, სამღერავი არა გვაქვს, მითუმეტეს, ტაფობის პერიოდში. ონკანებში თბილისის ზღვიდან, წყალთან ერთად, მზა „უხა“ მოედინება, მართალია, ცოტა მარილის მოყრა უნდა, თორემ ისე არავითარ საკმაზს ათარ მოითხოვს.

სახლი გარედან ჩაშავებულ-ჩამონგრეულია, ხოლო შიგნიდან კედლები და ქერი გაბზარულია და ადვილად ბერავამტარი.

გვიშველე რამე, ძეო ნიანგო!

(ირაკლი ხაბაძემ,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ნახ. მ. აბაშიძისა









— აბა, მითხარი, სანამ ამათ პრ გადაყერი, ვინი ლექსები როგორ მივიღო?..

მთავარი რედაქტორი ზურაბან გემაზაშვილი საზოგადოებრივი კომპანიები: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ზ. ლომიძე, ზ. ლომიძე, ნ. მალაფონია (მხატვ. რედ.), ზ. ნიუნიანიძე, ზ. სინაბულიძე (პ/მგ. მდივანი), ზ. ფირცხალავა, ო. ზვილიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● საბჭოებისა და იუმორის შურონალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 26/VI-78 წ. ხელმოწერილია დასაბჭოდ 20/VII-78 წ. ქალაქის ზომა 70x108/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1842. უე 08669. ტირ. 146.760. თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, თბილისი, ул. Ленина № 14. ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ასლამაზაშვილი, გ. ბახტაძე, ა. ბოლქვაძე, ს. გიორგაძე, ჯ. დვინიაძე, ვ. კუციანი, ზ. ლომიძე, ზ. ფირცხალავა, ზ. ფორჩინი, ნ. ქვლეჩაშვილი, რ. ჯაფარიძე.



ყსიფყვი, ყლყაყაყი...



როცა ოჯახში ორი ახრია

ნახატები:

- ა. ჯირცხალაძის
- ბ. აბაშიძის
- გ. ლეონიძის
- დ. მულაშვილის
- ე. ჯაფარიძის
- ვ. გუციანის
- ზ. გომიგომის